



საარჩევნო დღის გამოკითხვა ძირითადი შედეგები

ანგარიში ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის
მომზადებული CRRC-საქართველოს მიერ

თბილისი
ივნისი, 2010

საარჩევნო დღის გამოკითხვა

ძირითადი შედეგები*

შესავალი

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC) 2010 წლის 30 მაისს, ადგილობრივი არჩევნების დღეს, საქართველოს 3 ძირითად ქალაქში (თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში) ჩაატარა კვლევა საარჩევნო უბნებზე, სადაც იყო დამონტაჟებული კამერები (კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა მოცემულია დანართში 1).

საერთო ჯამში, გამოკითხულმა ადამიანებმა განაცხადეს, რომ არჩევნები კარგად იყო ირგანიზებული. მხოლოდ რამოდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ჰქონდათ პრობლემები საარჩევნო სიებთან დაკავშირებით.

კვლევის ძირითადი შედეგები ასეთია:

- გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის (97 პროცენტი) აზრით, არჩევნები იყო კარგად ირგანიზებული.
- გამოკითხულთა უმრავლესობას (93 პროცენტი) არანაირი პრობლემა არ ჰქონია საარჩევნო სიებთან დაკავშირებით.
- რესპონდენტები არჩევნების შესახებ ინფორმაციას ძირითადად სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებიდან იღებდნენ (82 პროცენტი).
- გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (61 პროცენტი) არ იცოდა საარჩევნო უბნებზე ვიდეო კამერების არსებობის შესახებ.
- უმრავლესობამ (84 პროცენტი) მხარი დაუჭირა ვიდეო კამერების დამონტაჟებას ყველა საარჩევნო უბანზე.

* ანგარიში მოამზადეს თამარ ხოშტარიამ, გიორგი ბაბუნაშვილმა და ჯესი ტატუმმა

რესპონდენტთა არჩევნების მიმართ შეხედულებების შედარებითი ანალიზის მიზნით, ჩვენ დავაკვირდით განსხვავებებს (1) ქალებსა და მამაკაცებს, (2) ასაკობრივ ჯგუფებსა და (3) იმ რესპონდენტებს შორის, ვინც პირველად ან არაპირველად მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. არჩევნების მიმართ დამოკიდებულების მხრივ ქალებსა და მამაკაცებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ განსხვავება გამოვლინდა ასაკობრივ ჯგუფებს შორის. აგრეთვე, არჩევნების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ მათ, ვინც ამ არჩევნებზე ხმა პირველად მისცა.

ამრიგად, ძირითადი განსხვავებები შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

- 61 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში უფრო მეტი (65 პროცენტი) ქალი ამომრჩეველი იყო ვიდრე ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში (54 პროცენტი).
- უმრავლესობა (67 პროცენტი), ვინც პირველად იღებდა მონაწილეობას არჩევნებში იყო 18-დან 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფიდან.
- 18-დან 25 წლამდე და 36-დან 45 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებიდან უფრო მეტმა ადამიანმა (88/89 პროცენტი) მისცა ხმა 10 წუთზე ნაკლებ დროში სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (80-85 პროცენტი).
- 61 წელს ქვემოთ მყოფი რესპონდენტების უფრო დიდმა ნაწილმა (85/86 პროცენტი) დაუჭირა მხარი საარჩევნო უბნებზე ვიდეო კამერების განთავსებას, ვიდრე 61 წელს გადაცილებულებმა (77 პროცენტი).

ამას გარდა, იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც იცოდნენ რომ საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებული იყო ვიდეო კამერები, უფრო მეტად დაუჭირეს მხარი კამერების ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებას (92 პროცენტი).

კვლევის ძირითადი შედეგები

არჩევნების დღეს გამოიკითხა 4,000-მდე ამომრჩეველი. აქედან 62 პროცენტი იყო ქალი და 38 პროცენტი - მამაკაცი (ცხრილი 1). კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არჩევნებში მონაწილეობა ყველა ასაკობრივმა ჯგუფმა მიიღო: რესპონდენტთა 14 პროცენტი იყო 18-დან 25 წლამდე, 17 პროცენტი - 26-დან და 35 წლამდე, ხოლო 18 პროცენტი - 36-დან 45 წლამდე. რესპონდენტთა თითქმის ერთი მესამედი (29 პროცენტი) 46-დან 60 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მოექცა, ხოლო 21 პროცენტი 61 და მეტი წლის იყო (ცხრილი 2). ამომრჩეველთა მხოლოდ 9 პროცენტი იღებდა არჩევნებში პირველად მონაწილეობას, ხოლო ამომრჩეველთა უმრავლესობას (91 პროცენტი) წინა არჩევნებშიც მიეცა ხმა (ცხრილი 3).

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ არჩევნების შესახებ ინფორმაცია ტელევიზიიდან მიიღო. ამომრჩეველთა 82 პროცენტმა განაცხადა, რომ ინფორმაციას საარჩევნო პროცესის შესახებ სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებიდან იღებდა, ხოლო 4 პროცენტმა ძირითად საინფორმაციო წყაროდ სატელევიზიო თოქ-შოუები დაასახელა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სარეკლამო კლიპებიდან ინფორმაცია მიიღო გამოკითხულთა 4-მა პროცენტმა, ხოლო საგაზეთო სტატიებიდან მხოლოდ 2-მა პროცენტმა (ცხრილი 4).

რესპონდენტთა თანახმად, არჩევნები კარგად იყო ორგანიზებული: ამომრჩეველთა 97 პროცენტმა აღნიშნა, რომ საარჩევნო პროცესი მშვიდად და მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, მაშინ როდესაც საწინააღმდეგო მოსაზრება მხოლოდ ერთმა პროცენტმა გამოთქვა (ცხრილი 5). ამასთან, რესპონდენტთა 93 პროცენტის განცხადებით, საარჩევნო სიებთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნიათ არც თავად და არც მათი ოჯახის წევრებს. საარჩევნო სიებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მხოლოდ გამოკითხულთა 6-მა პროცენტმა მიუთითა (ცხრილი 6). ამომრჩეველთა 85 პროცენტმა ხმა მისცა 10 წუთზე ნაკლებ დროში, მაშინ როდესაც ამომრჩეველთა მხოლოდ 13-მა პროცენტმა მოანდომა ხმის მიცემას 10 წუთზე მეტი დრო (ცხრილი 7).

კითხვამ საარჩევნო უბნებზე ვიდეო კამერების შესახებ გამოავლინა, რომ ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა არაფერი იცოდა მათ არსებობაზე. როგორც შედეგები გვაჩვენებს, რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა (61 პროცენტი) არ იცოდა იყო თუ არა ვიდეო კამერები მათ საარჩევნო უბნებზე. ამომრჩეველთა მხოლოდ 18-მა პროცენტმა იცოდა ვიდეო კამერების არსებობის შესახებ, ხოლო 14-მა პროცენტს ეგონა, რომ მათ საარჩევნო უბნებზე კამერები არ იყო. ამ კითხვაზე პასუხს თავი აარიდა რესპონდენტთა 6-მა პროცენტმა (ცხრილი 8).

მას შემდეგ, რაც ინტერვიუებმა აუხსნეს რესპონდენტებს, რომ მათ საარჩევნო უბანზე კამერა განთავსებული იყო, ამომრჩევლებს სთხოვეს, შეეფასებინათ კამერის დანიშნულება. ამომრჩეველთა ნახევრის (51 პროცენტი) აზრით, კამერების დანიშნულება იყო არჩევნების გაყალბებისათვის ხელის შეშლა. 25-მა პროცენტმა კი აღნიშნა, რომ კამერები საჭიროა საარჩევნო პროცედურების დაცვის უზრუნველსაყოფად. გამოკითხულთა 5-მა პროცენტმა ჩათვალა, რომ კამერები საჭიროა სარჩევნო დავების გადაწყვეტისათვის, 2-მა პროცენტმა მიიჩნია, რომ კამერების დანიშნულებაა ჩაიწეროს თუ ვინ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, ხოლო 2 პროცენტის აზრით, კამერები იმისთვის დააყენეს, რომ ჩაეწერათ თუ ვინ ვის მისცა ხმა. მხოლოდ 12 პროცენტს არ ჰქონდა მოსაზრება კამერის დანიშნულების შესახებ (ცხრილი 9).

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს ამომრჩევლებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ საარჩევნო პროცედურების მონიტორინგი. რესპონდენტთა 84 პროცენტმა მხარი დაუჭირა ვიდეო კამერების გამოყენებას ყველა საარჩევნო უბანზე, მაშინ როდესაც კამერების წინააღმდეგი მხოლოდ 8 გამოვიდა, ხოლო 9 პროცენტს კამერების განთავსების შესახებ ჩამოყალიბებული პოზიცია არ აღმოაჩნდა (ცხრილი 10).

ამომრჩეველთა შეხედულებების შედარება

მონაცემთა ანალიზმა არ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავება სქესებს შორის: საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით ქართველ მამაკაცებს და ქალებს მსგავსი შეხედულებები აღმოაჩნდათ. რაც შეეხება ამომრჩეველთა შეხედულებების განსხვავებას ასაკობრივ ჯგუფებს შორის, ყველაზე შესამჩნევი განსხვავება დაფიქსირდა ყველაზე ახალგაზრდა (18-დან 25 წლამდე) და ყველაზე უფროსს (61 და ზემოთ) ასაკობრივ ჯგუფებს შორის.

საარჩევნო უბნებზე ვიდეო კამერების არსებობის შესახებ ახალგაზრდა ამომრჩეველმა უკეთ იცოდა: 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ამ კითხვას დადებითად რესპონდენტთა 21-მა პროცენტმა უპასუხა, 61 წლის და უფროსი ამომრჩეველებიდან კი 17-მა პროცენტმა (ცხრილი 13).

რაც შეეხება ვიდეო კამერის დანიშნულებას, 18-დან 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა 54 პროცენტის მოსაზრებით, იგი ხელს უშლიდა არჩევნების გაყალბებას. იგივე მოსაზრება 61 წლის და უფროსი ამომრჩეველის 48 პროცენტმა გამოთქვა. გარდა ამისა, კამერების დანიშნულებად საარჩევნო პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა მიიჩნია ახალგაზრდა (26-დან 45 წლამდე) ამომრჩეველთა 29 პროცენტმა, მაშინ როცა 61 წლის და ზემოთ ასაკობრივი ჯგუფში ამგვარი პასუხი 18-მა პროცენტმა გასცა. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულ ამომრჩეველთა (61 წლის და ზემოთ) 20 პროცენტს არ ჰქონდა მოსაზრება კამერის დანიშნულების შესახებ, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი ხსვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის 11 პროცენტზე მეტი არ იყო (ცხრილი 14).

კვლევის შედეგების თანახმად, 61 წელს გადაცილებული ამომრჩეველმა უფრო ნაკლებად დაუჭირა მხარი ვიდეო კამერების ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებას (77 პროცენტი), სხვა ასაკობრივი ჯგუფების ამომრჩეველებთან შედარებით (85-86 პროცენტი) (ცხრილი 15).

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ახალგაზრდა ამომრჩეველი ხანდაზმულ ამომრჩეველზე დაუბრკოლებლად აძლევდა ხმას: 18-დან 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფში გამოკითხულთა 89 პროცენტმა აღნიშნა, რომ ხმის მიცემას 10 წუთზე ნაკლები მოანდომა, განსხვავებით 61 წელს გადაცილებული რესპონდენტებისაგან, რომელთა 80-მა პროცენტმა განაცხადა იგივე (ცხრილი 16).

რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა რესპონდენტებს შორის, ვინც პირველად იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას და ვინც არა. რესპონდენტთა 46 პროცენტი, რომლებიც პირველად იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას მამრობითი სქესის იყვნენ, განსხვავებით იმ რესპონდენტებისაგან, რომლებიც პირველად არ იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას; მათგან მხოლოდ 37 პროცენტი იყო მამრობითი სქესის (ცხრილი 17).

როგორც შედეგები აჩვენებს, რესპონდენტთა 83 პროცენტი, ვინც ამ არჩევნებზე პირველად მისცა ხმა, საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმაციას სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებიდან იღებდა. განსხვავებული სურათია იმ ამომრჩეველებში, ვისაც ხმა წინა არჩევნებშიც მიუცია - სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემები ძირითად წყაროდ მათმა 78-მა პროცენტმა დაასახელა.

საინტერესოა, რომ იმ რესპონდენტებიდან, ვინც პირველად იღებდა მონაწილეობას არჩევნებში, საინფორმაციო წყაროდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდი უფრო მაღალმა პროცენტმა (4) დაასახელა, ვიდრე იმ რესპონდენტებმა, ვინც არჩევნებზე ადრეც ყოფილა (1 პროცენტი) (ცხრილი 18). უფრო მეტიც, რესპონდენტთა 23 პროცენტმა, რომლებიც პირველად აძლევდნენ ხმას, იცოდნენ საარჩევნო უბნებზე არსებული ვიდეო კამერების შესახებ, იმ რესპონდენტთა 18 პროცენტთან შედარებით, რომლებიც პირველად არ მონაწილეობდნენ არჩევნებში (ცხრილი 19). ეს შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ ახალგაზრდა თაობა უკეთ

ინფორმირებული იყო საარჩევნო პროცესის შესახებ, რადგან არჩევნებში პირველად მონაწილეთა 67 პროცენტი 18-დან 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფს ეკუთვნოდა (ცხრილი 20).

რაც შეეხება უბნებზე კამერების განთავსებას, რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (92 პროცენტი), რომელმაც იცოდა კამერების არსებობის შესახებ, მხარი დაუჭირა კამერების ყველგან დაყენებას. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია (74 პროცენტი) იმ ამომრჩევლისათვის, ვინც კამერების არსებობის შესახებ არაფერი იცოდა (ცხრილი 21).

აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველთა 58-მა პროცენტმა, ვისაც ჰქონდა ინფორმაცია უბანზე კამერის არსებობის შესახებ, კამერის ძირითად დანიშნულებად არჩევნების გაყალბებისათვის ხელის შეშლა მიიჩნია. იგივე მიზეზი დაასახელა იმ რესპონდენტთა მხოლოდ 41-მა პროცენტმა, ვინც არ იცოდა, რომ უბანზე კამერა იდგა (ცხრილი 22).

დანართი 1

კვლევის მეთოდოლოგია

გამოკითხვის სამიზნე პოპულაცია იყო ყველა ამომრჩეველი, რომელიც ხმას აძლევდა ჩვეულებრივ და უმისამართო საარჩევნო უბნებზე (ე.ი. ყველა საარჩევნო უბანი, რომელიც არ იყო სპეციალური საარჩევნო უბნების სიაში) თბილისის 10 საარჩევნო ოლქში, ასევე ქუთაისისა და ბათუმის საარჩევნო ოლქებში.

ჩვენ გამოვიყენეთ კვლევის კომპლექსური დიზაინი: (1) სამიზნე პოპულაცია დავყავით სამ სტრატაგ (თბილისი, ქუთაისი და ბათუმი); (2) შერჩევის ძირითად ერთეულებად ავიღეთ საარჩევნო უბნები; (3) შერჩევის მეორად ერთეულებად ავიღეთ ამომრჩეველები.

სულ შევარჩიეთ 40 საარჩევნო უბანი. საარჩევნო უბნების რაოდენობა თითოეულ სტრატაში გადავანაწილეთ პროპორციულად საარჩევნო უბნების რაოდენობის მიხედვით. ამრიგად, თბილისში გამოვიდა 31 უბანი, ქუთაისში - 5, ხოლო ბათუმში - 4.

საარჩევნო უბნების შერჩევა

საარჩევნო უბნები სტრატებს შიგნით შევარჩიეთ მოდიფიცირებული სისტემატიური შერჩევის მეთოდით. სისტემატიური შერჩევისას ჯერ განისაზღვრება „ბიჯის“ ზომა. მაგალითად, თუ შევარჩევთ ყოველ მეექვსე საარჩევნო უბანს, მაშინ ბიჯის ზომა იქნება ექვსი. საწყისი წერტილი ერთსა და ბიჯის ზომას შორის არის შემთხვევითი წესით შერჩეული; ჩვენი მაგალითის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია შემთხვევით ავარჩიოთ, რომ შერჩევა დავიწყოთ სიაში პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე ან მეექვსე საარჩევნო უბნიდან და ამის შემდეგ შევარჩიოთ ყოველი მეექვსე საარჩევნო უბანი. სისტემატიური შერჩევის უპირატესობა არის ის, ამ შემთხვევაში არ გამოგვრჩება სამიზნე პოპულაციის რომელიმე ნაწილი, რაც შესაძლოა მოხდეს მარტივი შემთხვევითი შერჩევის დროს. ამასთან, პერიოდულობის არარსებობის

დროს სისტემატიური შერჩევა ისევე ფუნქციონირებს, როგორც მარტივი შემთხვევითი შერჩევა (Lohr, 1999). რადგან ჩვენ არ გვაქვს მიზეზი, რომ ვივარაუდოთ პერიოდულობის არსებობა, მონაცემთა ანალიზისას შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შერჩევა მარტივი შემთხვევითი გზით განხორციელდა.

ჩვენი სისტემატიური შერჩევა ოდნავ სახეშეცვლილია. ბიჯის ზომები დაფუძნებულია პოპულაციის ზომაზე და სასურველი შერჩევის ზომაზე; მაგალითად თუ პოპულაციის ზომა არის 600 და სასურველი შერჩევის ზომა არის 100, მაშინ საჭირო ბიჯის ზომა არის 6. თუმცა, რეალობაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოპულაციის ზომა სასურველი შერჩევის ზომის ზუსტი ჯერადი იყოს. თუ მოსახლეობის ზომა არის 700 და სასურველი შერჩევის ზომა არის 200, მაშინ ბიჯი 3 გამოიწვევს ძალიან დიდ შერჩევას, ხოლო ბიჯი 4 - ძალიან პატარას. ამის გამო, სისტემატიური შერჩევა ამგვარად შევასწორეთ: ბიჯის ზომა განვსაზღვრეთ, როგორც წილადი, რომელიც მივიღეთ მოცემულ სტრატაში საარჩევნო უბნების რაოდენობის გაყოფით შერჩევის სასურველ ზომაზე იმავე სტრატაში. ალგორითმის მიხედვით ავიღეთ ამ ზომის ბიჯი და ყოველ ჯერზე ვარჩევდით იმ ნომრის უბანს, რაზეც წილადი დამრგვალდებოდა. ამრიგად, ბიჯის ზომა მონაცვლეობდა ზედა და ქვედა მთელ რიცხვებს შორის.

ინტერვიუების რაოდენობა

თითოეულ საარჩევნო უბანს მივამაგრეთ ინტერვიუერთა ორკაციანი ჯგუფი. ინტერვიუერები უბანზე იყვნენ უბნის გასნიდან დახურვამდე, მაგრამ თითოეულ მათდანს შეეძლო დაესვენა ოთხჯერ ნახევარი საათით. ამრიგად, ინტერვიუერები მუშაობდნენ 10 საათის განმავლობაში იმ 12 საათდან, როდესაც ხმის მიცემა მიმდინარეობდა.

ინტერვიუერებს მივეცით ინსტრუქცია, რომ დაკონტაქტებოდნენ საარჩევნო უბნიდან გამოსულ ამომრჩევებს ყოველ 10 წუთში. ამრიგად, 40 საარჩევნო უბანზე 2-2 ინტერვიუერის მიერ 10 საათის განმავლობაში უნდა მიგველო 4800 ინტერვიუ. საარჩევნო უბანების უმეტესობაზე ამ ხერხით დაახლოებით 120 ინტერვიუ ჩატარდა,

თუმცა, ორ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა აქტივობა ისეთი დაბალი იყო, რომ მხოლოდ 94 და 23 ინტერვიუს ჩატარება მოხერხდა. ამგვარად, ინტერვიუების რეალური რაოდენობა გამოვიდა 4,672.

დასრულებული ინტერვიუების რაოდენობა შემდეგნაირად გამოვთვალეთ: ინტერვიუები, სადაც რესპონდენტმა 50 პროცენტზე ნაკლებ კითხვას უპასუხა, გავაუქმეთ; ინტერვიუები, რომლებშიც რესპონდენტმა კითხვების 50-დან 80 პროცენტამდე უპასუხა, ნახევრად დასრულებულად მივიჩნიეთ, ხოლო სადაც პასუხების რაოდენობამ 80 პროცენტს გადააჭარბა - სრულად. ამრიგად, 3,716 სრული ინტერვიუსა და 232 ნახევრად დასრულებული ინტერვიუს ჯამმა შეადგინა 3,948 ან

$$3,716 + \frac{232}{2} = 3,832$$

შერჩევის შეწონვა

შეწონვა გავაკეთეთ ინტეგრირებული ფორმით, ისე რომ: $w_{hi} = \frac{N_h M_{hi}}{n_h m_{hi}}$

სადაც N_h არის h სტრატაში არსებული საარჩევნო უბნების სრული რაოდენობა, n_h არის h სტრატაში შერჩეული საარჩევნო უბნების რაოდენობა, M_{hi} არის ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც მისცეს ხმა h სტრატას i საარჩევნო უბანში (ეს ინფორმაცია არის აღებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ გვერდიდან). m_{hi} არის ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც უპასუხა ინტერვიუს კითხვების სულ მცირე 50 პროცენტს, h სტრატას i საარჩევნო უბანში. ზემოთ მოყვანილი განტოლება არ შეიცავს არგამოპასუხებას და არგამოპასუხების წონების გამოთვლა ცალკე უნდა მოხდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

Lohr, S. L. 1999. *Sampling: Design and Analysis*. Brooks/Cole Publishing Co., Pacific Grove, California, USA.

დანართი 2

ცხრილები

ცხრილი 1

სქესი (%)	
მამაკაცი	38
ქალი	62

ცხრილი 2

ასაკობრივი ჯგუფები (%)	
18-25	14
26-35	17
36-45	18
46-60	29
61+	21
უარი	1

ცხრილი 3

ეს თქვენთვის პირველი არჩევნებია, რომელშიც მონაწილებას იღებთ? (%)	
დიახ	9
არა	91

ცხრილი 4

საიდან იღებთ ინფორმაციას საარჩევნო პროცესის შესახებ? (%)	
სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებიდან	82
რადიო საინფორმაციო გადაცემებიდან	1
სატელევიზიო თოქ-შოუების მეშვეობით	4
ცენტრალური საარჩევნო კომისიის სარეკლამო კლიპებიდან	4
ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან	1
საგაზეთო სტატიებიდან	2
ვისარგებლე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაწესებული ღია კარის საათით	1
ცენტრალური საარჩევნო კომისიის on-line ოპერატორის მეშვეობით	1
არ ვიცი	3

ცხრილი 5

იყო თუ არა საარჩევნო პროცესი მშვიდი და მოწესრიგებული? (%)	
დიახ	97
არა	1
არ ვიცი	2

ცხრილი 6

თქვენ ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს გქონდათ თუ არა რაიმე პრობლემა საარჩევნო სიებთან დაკავშირებით? (%)	
დიახ	6
არა	93
არ ვიცი	1

ცხრილი 7

მოანდომეთ თუ არა ხმის მიცემას 10 წუთზე ნაკლები? (%)	
დიახ	85
არა	13
არ ვიცი	2

ცხრილი 8

იყო თუ არა კამერა საარჩევნო უბანზე? (%)	
დიახ	18
არა	14
არ ვიცი	61
უარი	6

ცხრილი 9

თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება კამერა? (%)	
ხელი შეუშალოს არჩევნების გაყალბებას	51
პროცედურების დაცვის უზრუნველსაყოფად	25
ხელი შეუწყოს საარჩევნო დავების გადაწყვეტას	5
ჩაიწეროს თუ ვინ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში	2
ჩაიწეროს თუ ვინ ვის მისცა ხმა	2
დააშინოს ამომრჩეველი	1
სხვა	2
არ ვიცი	12

ცხრილი 10

უჭერთ თუ არა მხარს კამერების გამოყენებას ყველა საარჩევნო უბანზე? (%)	
დიახ	84
არა	8
არ ვიცი	9

ცხრილი 11

ასაკობრივი ჯგუფები სქესის მიხედვით (%)						
	18-25	26-35	36-45	46-60	61+	უარი
მამაკაცი	17	17	17	28	20	0
ქალი	12	16	19	29	22	1

ცხრილი 12

სქესი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)		
	მამაკაცი	ქალი
18-25	46	54
26-35	40	60
36-45	35	65
46-60	37	63
61+	35	65

ცხრილი 13

იყო თუ არა კამერა საარჩევნო უბანზე? ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)				
	დიახ	არა	არ ვიცი	უარი
18-25	21	12	61	5
26-35	20	16	58	7
36-45	18	12	64	6
46-60	18	15	61	7
61+	17	15	61	7

ცხრილი 14

თქვენი აზრით რა მიზანს ემსახურება კამერა? ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)					
	18-25	26-35	36-45	46-60	61+
ხელი შეუშალოს არჩევნების გაყალბებას	54	53	51	51	48
პროცედურების დაცვის უზრუნველსაყოფად	25	29	27	26	18
ხელი შეუწყოს საარჩევნო დავების გადაწყვეტას	5	3	6	6	4
ჩაიწეროს თუ ვინ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში	2	2	2	3	4
ჩაიწეროს თუ ვინ ვის მისცა ხმა	2	1	2	2	3
დააშინოს ამომრჩეველი	0	1	0	0	1
სხვა	1	2	2	2	2
არ ვიცი	11	9	9	9	20

ცხრილი 15

უჭერთ თუ არა მხარს კამერების გამოყენებას ყველა საარჩევნო უბანზე? ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)			
	დიახ	არა	არ ვიცი
18-25	85	6	9
26-35	86	8	5
36-45	86	6	8
46-60	85	7	7
61+	77	10	13

ცხრილი 16

მოანდომეთ თუ არა ხმის მიცემას 10 წუთზე ნაკლები? ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)			
	დიახ	არა	არ ვიცი
18-25	89	9	2
26-35	83	14	3
36-45	88	10	3
46-60	85	13	2
61+	80	16	3

ცხრილი 17

სქესი (კითხვის მიხედვით “ეს თქვენთვის პირველი არჩევნებია, რომელშიც მონაწილეობას იღებთ?” %)		
	მამაკაცი	ქალი
დიახ	46	54
არა	37	63

ცხრილი 18

საიდან იღებთ ინფორმაციას საარჩევნო პროცესის შესახებ? (კითხვის მიხედვით “ეს თქვენთვის პირველი არჩევნებია, რომელშიც მონაწილეობას იღებთ?” %)		
	დიახ	არა
სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემებიდან	78	83
რადიო საინფორმაციო გადაცემებიდან	1	2
სატელევიზიო თოქ-შოუების მეშვეობით	4	4
ცენტრალური საარჩევნო კომისიის სარეკლამო კლიპებიდან	5	4
ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან	4	1
საგაზეთო სტატიებიდან	1	2
ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცხელი ხაზის მეშვეობით	0	0
ვისარგებლე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაწესებული ღია კარის საათით	1	1
ცენტრალური საარჩევნო კომისიის on-line ოპერატორის მეშვეობით	2	1
არ ვიცი	3	3

ცხრილი 19

იყო თუ არა კამერა საარჩევნო უბანზე? (კითხვის მიხედვით “ეს თქვენთვის პირველი არჩევნებია, რომელშიც მონაწილეობას იღებთ?” %)				
	იყო კამერა	არ იყო კამერა	არ ვიცი	უარი
დიახ	23	13	58	5
არა	18	14	61	7

ცხრილი 20

ასაკობრივი ჯგუფები (კითხვის მიხედვით “ეს თქვენთვის პირველი არჩევანებია, რომელშიც მონაწილეობას იღებთ?” %)					
	18-25	26-35	36-45	46-60	61+
დიახ	67	11	6	9	6
არა	8	17	20	31	23

ცხრილი 21

უჭერთ თუ არა მხარს კამერების გამოყენებას ყველა საარჩევნო უბანზე? (კითხვის მიხედვით “იყო თუ არა კამერა საარჩევნო უბანზე? ” %)			
	ვუჭერ მხარს	არ ვუჭერ მხარს	არ ვიცი/უარი
კი	92	5	3
არა	74	13	13
არ ვიცი	83	7	9

ცხრილი 22

თქვენი აზრით რა მიზანს ემსახურება კამერა? (კითხვის მიხედვით “იყო თუ არა კამერა საარჩევნო უბანზე? ” %)			
	კი	არა	არ ვიცი
ხელი შეუშალოს არჩევნების გაყალბებას	58	41	51
პროცედურების დაცვის უზრუნველსაყოფად	24	25	25
ხელი შეუწყოს საარჩევნო დავების გადაწყვეტას	6	6	5
ჩაიწეროს თუ ვინ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში	3	2	3
ჩაიწეროს თუ ვინ ვის მისცა ხმა	2	2	2
დააშინოს ამომრჩეველი	0	1	0
სხვა	1	3	2
არ ვიცი/უარი	6	20	12